საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კვარაცხელია გუჩა შალვას ასული

კვარაცხელია გუჩა შალვას ასული (დ. 2. X. 1940, თბილისი), ენათმეცნიერი. საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკადემიის აკადემიკოსი (2013). ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1986), პროფესორი (1988). 1963 დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტის ქართველურ ენათა განყ-ბა. იყო თსუ-ის ზოგადი ენათმეცნ. კათედრის პროფესორი, ს.-ს. ორბელიანის სახ. პედ. ინ-ტის ქართ. ენის კათედრის გამგე (1984–94), განათლების მინისტრი (1992), არაქართველ-თათვის ქართ. ენის სწავლების სამეცნ. ლაბორატორიის დამაარსებელი და ხელმძღვანელი (1993–94), ენათმეცნ. ინ-ტის დირექტორი (1993–2006); საქართვ. პრეზიდენტთან არსებული სახელმწ. ენის სახელმწ. კომისიის თავ-რის მოადგილე (1995–2005); არის არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნ. ინ-ტის ზოგადი ენათმეცნიერების განყ-ბის ხელმძღვანელი და საქართვ. მეცნ. აკად. ენის, ლიტ-რისა და ხელოვნების განყ-ბის აკადემიკოს-მდივანი.

კ. იკვლევს ზოგადი ენათმეცნიერების, ტექსტის ლინგვისტიკის, ქართ. ენის სტრუქტურისა და პრაგმატიკის საკითხებს. მისმა გამოკვლევებმა ქართ. *სალიტ.* ენის ისეთი ფუნქციური ქვესისტემების შესახებ, როგორიცაა სამეცნ., საგაზეთო-პუბლიც., ოფიციალურსაქმიანი და მხატვრული სტილი, საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ფუნქციური სტილისტიკის შექმნას. იგი ავტორია ნაშრომებისა ენათმეცნ. თეორიასა და ისტორიაში, მათ. ლინგვისტიკისა და ენის სტატისტ. მეთოდებით კვლევის სფეროში. მან შეისწავლა და დაადგინა პრაღის სკოლის ლინგვისტიკური კონცეფციის გენეზისური კავშირი "ოპოიაზის" თეორიულ დებულებებთან. იკვლევს აგრეთვე ქართ. ენის კომპიუტერიზაციისა და ენის ფორმალიზაციის პრობლემებს.

კ. ეწევა აქტიურ *ლიტ.* მოღვაწეობას. გამოქვეყნებული აქვს ლექსებისა და პოემების კრებულები: „საით მიემართება დრო" (1981); „უფრო მაღლა ცა" (1987), „მართალთა და უღმრთოთა გზები" (2000), „ათინათები" (2015) და სხვ. ასევე გატაცებულია მხატვრობით. 2010 თბილისის გალა-გალერეასა და 2015 ზ. წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში გაიმართა მისი პერსონალური გამოფენა. წიგნად გამოიცა გრაფ. ნამუშევრები (60 რეპროდუქცია, 2015).

კ. დაჯილდოებულია საქართვ. საპატრიარქოს სიგელით „ქართველი ერის წინაშე გაწეული დიდი ღვაწლისა და მეცნიერებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის" (2007), ა. შანიძის პრემიით ენციკლოპედია „ქართული ენის" რედაქტორობისათვის (2011; ი. ქობალავასთან ერთად); საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკადემიის საპატიო სიგელით (2014); საქართვ. ქალთა საბჭოსა (2015) და ივ. ჯავახიშვილის (2017) მედლებით.

თხზ.: მხატვრული მეტყველების შესწავლის საკითხები პრაღის სკოლასა და „ოპოიაზში", კრ.: თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები, III, თბ., 1972; ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა, თბ., 1990; მხატვრული ენის შესწავლის ლინგვისტური ასპექტები, თბ., 1995; მეტყველების კულტურა, ნორმა და ნორმალიზაცია, «ქართული ენა და ლიტერატურა არაქართულენოვან სკოლებში», 1998, №2; ენობრივი თვითშეგნება და სალიტერატურო ნორმა როგორც ღირებულება, კრ.: ვ. თოფურია – 100, თბ., 2001; ტექსტურ გადაძახილთა მრავალფეროვნება, «ქართული სიტყვის კულტურის საკითხები», წგ. 14, თბ., 2014; ანას მსოფლშეგრძნება – უმდიდრესი მემკვიდრეობა, თბ., 2014.